სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
სამშაბათი
26
ივნისი
№76 (10313)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

დიდი ჩაისათვის ლაშქრობა გადამწყვეტ ეტაპში შევიდა: დღითი დღე ძლიერდება კრეფის ტემპი, მცირდება სხვაობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. 25 ივნისისათვის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მოკრიფეს და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 20436 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 3.669 ტონით ნაკლები შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. წლიური გეგმა შესრულებულია 82,7 პროცენტით. კვირას 24 ივნისს დამზადდა 666 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 419 ტონით მეტი ვიდრე შარშან ამ დღეს.

ჩაი—90: მთავარია ხარისხი

## დროზე და უდანაკარგოდ

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა 22 ივნისს რაიონში დამზადდა 807 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 54 ტონით მეტი ვიდრე შარშან ამ დღეს

მაგრამ ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღალი მაჩვენებლები არ წყვეტს საერთო წარმატების ბედს. გეგმა დროზე და უდანაკარგოდ, რომ შესრულდეს საჭიროა ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და რიგითი მეჩაიე მუშაობდეს თანაბარი მონდომებით. რაიონის 89 საზოგადოებრივი მეურნეობიდან რაიონის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები აქვს 12 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას. ეს იმითაც არის გამოწვეული რომ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები მკაცრად არიან გაფრთხილებულნი კრიფონ მხოლოდ მაღალი ხარისხის ნედლეული, ამ მოთხოვნებს ბევრგან არ იცავენ. არავითარ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ მეჩაიეობაში წარმატების ბედის ძირითადი გამხსნელი მარტო რაოდენობა კი არა ხარისხია. რადგან ხარისხოვან ნედლეულზე ბევრად არის დამოკიდებული თუ როგორი იქნება ჩვენი ეკონომიკა.

ჩაის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა, მაის-ივნისის გეგმის შესრულებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევა მთელი ძალების მაქსიმალურ მობილიზებას, როგორც იტყვიან ქუდზე კაცის გამოყვანას მოითხოვს, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან შეუქმნან მუშაობისათვის ნორმალური პირობები მეჩაიეებს.

დიდი ჩაისათვის ლაშქრობაში წარმატების ბედი ახლა წყდება. უმოკლეს დროში უნდა გადავფაროთ არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეული გარღვევა, გავიდეთ მოწინავე პოზიციებზე. ეს კი ჩვენი რაიონის მეჩაიეთა მრავალათასიანი არმიის თავდადებულ და შემართულ მუშაობას მოითხოვს.

საქ. სსრ ქ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

## გეგმიურ დავალებაზე მეტი

ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივი ჩვეული გულმოდგინებით ეკიდება დასახული ამოცანების შესრულებას. ამაზე მეტყველებენ ხუთი თვის მონაცემებიც: საერთო პროდუქციის გეგმა ითვალისწინებდა 25389 ათასი მანეთის ნაწარმის გამოშვებას. ფაქტიურად განაღდებულ იქნა 26011 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება. დაფასოებულ იქნა 4161 ტონა შავი და მწვანე ბაიხის ჩაი, რაც გეგმიურ დავალებას ჭარბობს.

კოლექტივის რითმულ მუშაობას მნიშვნელოვნად განაპირობებს დამფასოებელი, საკუპაჟე და მზა პროდუქციის საამქროები, რომელთაც რ. ხუბულავა, ი. ძახაძავა და ჯ. როგავა ხელმძღვანელობენ.

ა. ბაბუნია.

## ბრიგადა მოწინავეთა რიგებში



კახათის კოლმეურნეობის № 6 ბრიგადას უწარიანად უძღვება ველოდი თოლორაია. ისინი 23 ჰექტარიდან 360 ტონა ჩაის ფოთლის, დამზადებას ითვალისწინებენ.

მეჩაიეთა მიზანია, არ დაუშვან დანაკარგები, კრიფონ მაღალი ხარისხის ნედლეული.

სურათზე: ბ[illegible] ნუგზარ [illegible]რაია ბრიგადის მოწინავე მეჩაიეთა ერთ ჯგუფთან,

ჟ. ყუფუნიას ფოტო.

ენა, მამული, სარწმუნოება

## პედაგოგთა დახელოვნების სამსახურში

კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე პირობებში ბავშვი განუწყვეტლივ ცვალებად სამყაროში ცხოვრობს. იგი უამრავი მოვლენის მოწმე ხდება. ყოველივე ეს მრავალფეროვანს ხდის მის მისწრაფებებს. ამიტომ დღეს დიდია კლასის ხელმძღვანელის როლი მოზარდის ინტერესების სამყაროს ამოცნობაში, რით ცხოვრობს იგი, რა აწუხებს და რა აღელვებს. ყოველივე ამის გადაწყვეტა იოლად არ შეიძლება, არამედ მთელი გული უნდა ვუძღვნათ ბავშვებს, რათა მათ ლამაზ, მრავალფეროვან და საინტერესო სამყაროში შეგვეძლოს ჩახედვა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი საკითხების შემოქმედებითად გადაწყვეტას მიეძღვნა დაწყებითი კლასების ხელმძღვანელთა კურსები, რომელიც მასწავლებელთა დახელოვნების ზუგდიდის ინსტიტუტმა ჩაატარა კურორტ ფკადუაში. კურსების მიზანი მასწავლებელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. მთავარი ის არის რომ ახალგაზრდა მასწავლებლებმა უფასოდ დაისვენეს და თანაც ისწავლეს როგორ უხელმძღვანელონ კლასს. ამავე დროს კურსებმა ხელი შეუწყო სხვადასხვა რაიონის ახალგაზრდა პედაგოგთა დამეგობრებასაც. მათ ურთიერთ ბჭობაში, მსჯელობაში, თუ დიალოგში ხდებოდა აზრთა გაცვლა გამოცვლა, გამოცდილების გაზიარება.

კურსები იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ მან შინაარსიანი დასვენების პირობებში მოგვცა საშუალება აღმზრდელობითი ფორმებისა და მეთოდების შესწავლა დანერგვისათვის.

საინტერესოდ წარიმართა პრაქტიკული ღონისძიებები. კულტურული დასვენების ორგანიზაცია. მსმენელები კმაყოფილნი იყვნენ კვებით და მომსახურებით. საგულისხმოა დირექციისა (დირექტორი ხ. ბალათურია) და სოფლის კულტურის სახლის (მ. ჩემია, გ. შონია) თანადგომა. რადგან კურსები დასვენებისა და სწავლების მიზანსწრაფულ პროცესში მიმდინარეობდა, მსმენელთა ჯგუფისაგან შევქმენით მერვე კლასელთა კოლექტივი. კლასის მამასახლისად ავირჩიეთ ნატო ლემონჯავა, რომელმაც თავისი მოვალეობა კარგად შეასრულა. კლასის ხელმძღვანელის ფუნქციას ჩვეულებრივ კურსების ხელმძღვანელი ასრულებდა. ყოველ ღონისძიებას საფუძვლად ედო მეთოდური სწავლება და სამსახური. მსმენელებთან ჩატარდა კლასის საათი თემაზე: „სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა" და დიალოგი „როგორი უნდა იყოს თანამედროვე კლასის ხელმძღვანელი".

აღსანიშნავია ღია კლასის საათი, რომელიც ფკადუაშის საშუალო სკოლის მერვე კლასში ჩატარდა. კლასსაათის თემა იყო: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს" ის ჩვენმა მსმენელმა ბედიშა მებონიამ ჩაატარა.

სწორად განისაზღვრა კლასის საათის მიზანი და ამოცანა. მოსაწონი იყო ორგანიზაციული მხარე (გაფორმება, დიდაქტიკური მასალა, მოსწავლეთა განწყობა).

შესავალი ნაწილი კლასის ხელმძღვანელმა მოხდენილად დაიწყო ილია ჭავჭავაძის სიტყვებით. „სამი რამ დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული ენა სარწმუნოება". კლასის ხელმძღვანელმა ისაუბრა თუ რა სიძნელეები გადაიტანა ქართულმა ენამ, დაწვრილებით შეჩერდა მშობლიური ენის მნიშვნელობაზე და პროგრამაზე.

კარგად შეირჩა კლასის საათის ქვესაკითხები, რომელთა ფონზე შესანიშნავად გაიშალა კლასის საათის ძირითადი ნაწილი მოსწავლეთა მიერ. ისინი კარგი დიქციითა და მეტყველებით ყვებოდნენ, თუ რას ნიშნავს ენის წახდენა. ხაზი გაესვა ქართული ენის ავბედითობას, ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები დედაენაზე, ენის სიწმინდეზე.

დასკვნითი ნაწილში კლასის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ენა დედაა ერისა. ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისა. ამიტომ გაერთიანდა დღეს მთელი საქართველო ენის დასაცავად.

კლასის საათმა მიზანს მიაღწია. გამოამჟღავნა მოსწავლეთა კულტურული მეტყველებისა და სალი მსჯელობის უნარი, შრომისმოყვარეობა, ქართული ენისა და საქართველოს სიყვარული.

შემდეგ მოეწყო ექსკურსია ენქურპესში, მარტვილში, ნოქალაქევში, სალხინოში. კურსების მონაწილეებმა მოინახულეს, და ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლის, მარტვილელი აზა ადამიას საფლავი.

კურსების დასასრულს მოვახდინეთ ანკეტირება, სადაც გამოვლინდა მსმენელთა დიდი კმაყოფილება, მათი უმრავლესობა ითხოვს ანალოგიური კურსების ჩატარებას სხვა საგნების მიხედვით.

მ. ქადარია,
ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აღმზრდელობითი კაბინეტის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა გვსურს?... რას ვპირდებით?!

აი, სამი თვეც შესრულდა, რაც ქალაქ ზუგდიდის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე (ცოტნე დადიანის ქუჩა № 21-ში) გაჩნდა წარწერა: „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშო“, აგრეთვე, უკვე არსებობენ სადროშოში შემავალი (აბაშის, სენაკის, მარტვილის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ფოთის, ზუგდიდის) რაიონული ორგანიზაციები.

და აი, ყოველდღიურად მოდის ახლით ადამიანი: ქალები, კაცები, ბავშვებიც კი... ისინი გვთხოვენ დახმარებას, ჩვენ შეძლებისდაგვარად ვშველით, სამომავლოდ მეტს ვპირდებით, გარკვევა უნდათ— ვუხსნით. ბევრი კმაყოფილი მიდის, ბევრიც—უკმაყოფილო... რა ქნან, უჭირთ, დღესვე უნდათ გრძელვადიანი სესხი, ყოველთვიური და ერთდროული დახმარებაც, სახლიცა და მანქანაც... ბევრი პირუჩუმრად არის, რას ვაგებ, ვაცლით, ფიქრობს, მაგრამ მაინც ეჭვობს რაიმე სიკეთე რომ გამოდნეს აქედან...

და ეს ბუნებრივიც არის! არ სჯერათ, რომ ვინმე მათ კეთილდღეობაზე ზრუნავს, დარბის, მიტინგებს აწყობს მინისტრთა საბჭოს წინ, ცას და ქვეყანას აწრიალებს, მაგრამ, რაც გინდა, გვიანდება სესხი, ერთდროული დახმარება, მანქანა, სხვა და სხვა...

ვერც აქ გაამტყუნებ!

ისინი დაიღალნენ სამოცდაათწლიანი დაპირებებით, დაუსრულებელი ტყუილებით, და არც ჩვენი, ამ გუშინწინ შეკოწიწებული საზოგადოების ფაციფუცისა, პირობისა სჯერათ!

არა, გრძნობენ, მთლად ასე არ არის, რაღაცა მართლა შეიცვალა ქვემოდან ზემოთაც... და მაინც, როცა ასე მომრავლებულია საქველმოქმედო ნებაყოფლობითი საზოგადოებები (პოლიტიკურ ორგანიზაციებზე არა გვაქვს საუბარი), ძნელია, ერთბაშად გაერკვიო მათ სიმართლეში, მოვალეობებში, წესდების სტრუქტურაში... მათ უნდათ დღეს, საჩქაროდ, თვალნათლივ დაინახონ ის სიკეთე, რაც ამა თუ იმ საზოგადოებას ხალხისათვის, უფრო სწორად, კონკრეტულად, მის სასარგებლოდ უტვირთნია, დაუქადნია—ამასა და ამას ვიზამო და იმ დანაპირევსაც ხელში მოჩერებული ითხოვს...

ერთი შეხედვით, მათი გულისწყრომა თუ დაეჭვება აქაც სწორია და მართებული!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავიდან ბოლომდე სიცრუეზე აგებულმა საბჭოურმა პოლიტიკამ უნდო და ეჭვიანი გახადა ამაში საზოგადოებებს, რომელიც არ უნდა იყოს იგი, მართალია, ბრალი არ მიუძღვით, მაგრამ ათეული წლობით დაგროვილი უნდობლობის აღმოფხვრა საქმეა, რომელიმე მათგანმა რომ შეძლოს!

იმ უთვალავი საზოგადოების დაცვა, რაც დღესდღეობით არსებობს საქართველოში, რა თქმა უნდა, მე არ მევალება, რომც შემეძლოს, არ ვთვლი ჩემს საქმედ, მაგრამ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების, კერძოდ, სამეგრელოს სადროშოს საქმიანობაზე, მის დღევანდელობასა და აწმყო-მომავალზე პასუხის გაცემა მმართებს, ვინაიდან ამ საზოგადოების ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი იყო ჩემთვის და არა, ეგრეთ წოდებული პარტიული დავალება, თუ სითამამეში არ ჩამომართმევთ, არც ჩემი ასაკი მაძლევს შეცდომების უფლებას და არც ჩემთვის არანაკლებ ღვიძლი საქმიანობა, თუ გნებავთ, წარმომავლობა და ცხოვრების წესიც! ამით იმისი თქმა მინდა, რომ რასაც ხალხს დავპირდებით, მისი მაქსიმუმი თუ არა, მინიმუმი მაინც უცილობლად უნდა შესრულდეს! ისე, ქვეყნის გასწორებას ნამდვილად არ ვაპირებთ, ეს ჩვენი საზოგადოების შესაძლებლობებს აღემატება და ნურც ნურავინ მოგვთხოვს...

ჯერ უპირველესად, რა გვინდა?! ვნახოთ, რა არის ჩვენი საზოგადოების უპირველესი (ზოგადი) დებულება?...

„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე დაყრდნობილი მასობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დემოგრაფიული პრობლემების დაძლევას. უპირველეს ყოვლისა და ძირითადად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ რეგიონებს, სადაც ერთობ მწვავე დემოგრაფიული ვითარებაა, ზრუნავს განახლებული და აღდგენილი სოფლების სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარებისათვის... საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე სახელმწიფო ორგანოებთან, კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით...“

თავისთავად, დემოგრაფიული საზოგადოება პოლიტიკური ორგანიზაცია არაა, ის პირდაპირ აცხადებს: საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას მიაჩნია, რომ რესპუბლიკაში შექმნილი რთული დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება მხოლოდ სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი კოორდინებული მოქმედებით არის შესაძლებელი...

ეს, რა თქმა უნდა, ჩვენგან შეთავაზებული თანამშრომლობაა ხელისუფლებისადმი და არა მათი, ამიტომ, არც ისე იოლად, ერთი ხელის დაკვრით ხდება ხოლმე მისი „კოორდინებული მოქმედებით“ მოგვარება!

ეს, გვინდა თუ არ გვინდა, ყველამ უნდა გავიგოთ! დღევანდელი საქართველოს ბედი დემოგრაფიული თვალსაზრისით რომ დამაფიქრებელია (თუ არა სატირალი), არც ეს არის ვინმესთვის გაუგონარი რამ. საქართველოში თითქმის ყოველი მესამე ოჯახი არაქართულია, რომელთა გამრავლების ტემპიც ორ-სამჯერ აღემატება ჩვენსას და თუ ეს ასე გაგრძელდა, ადვილი წარმოსადგენია რა მოხდება 20-30 წლის შემდეგ! აკი კარგა ხანია „პამიატმა“ ლოზუნგი გამოფინა: საქართველო ქართველების გარეშე!

დემოგრაფიული პრობლემების ერთბაშად დაძლევა და ერის საკეთილდღეოდ მოგვარება არც ისეთი იოლი საქმე გახლავთ. ისიც ცნობილია, რომ ჩვენში ინტერნაციონალიზმის „ბუმმა“ მხოლოდ ქართველობა დაჩაგრა, ვიდრე რომელიმე სხვა ერის წარმომადგენელი. ამ მიზეზთა ძიება და წუწუნი არც ღირს. ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია იმპერიალისტური რუსეთის ძალისხმევა ბოლო ორ საუკუნეში...

ახლა კონკრეტულად იმაზე, რას ვაპირებთ და რაც მთავარია რისი გაკეთებაც უკვე შევძელით.

პირველი: ჩვენი საზოგადოების უმთავრესი მიზანი და ჩვენდა საბედნიეროდ, მისი გამარჯვება ის არის—უზენაესი საბჭოს მიერ ახლახან დამტკიცებული „ქართველის დედის“ წოდების შემოღება.

რას მოუტანს იგი ქართულ მრავალშვილიან ოჯახებს? ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილების დედას „ქართველის დედის“ წოდებასთან ერთად, თითო შვილზე ოცდაათ-ოცდაათი მანეთს დაუნიშნავს ყოველთვიურად. ამის განცხადების უფლებას მაძლევს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა.

სხვათა შორის, ასე სოლიდური თანხის უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მივიღოთ მე-4 კვარტლისათვის, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან გაიცემა თავთავიანთ ადრესატზე, ამჟამად მიმდინარეობს მრავალშვილიან ოჯახთა საზოგადოებაში გაწევრიანება, მათი ოჯახური მდგომარეობის შემოწმება და პასპორტიზაცია.

იბადება კითხვა, რა დააშავა დედამ, რომელსაც სამი შვილი არასრულწლოვანი ჰყავს, ორი— სრულწლოვანი. რასაკვირველია, ყველა მათგანს უნდა მიენიჭოს „ქართველის დედის“ წოდება, ამასთანავე პენსიის სახით დაენიშნოს ხელფასი თვეში არანაკლებ ასი მანეთისა, რომელთა დაკმაყოფილებაც მომავალი წლის იანვრიდან გვაქვს გადაწყვეტილი და სახსრებიც მეტ-ნაკლებად გამოძებნილი. (აქვე მინდა ესეც აღვნიშნო: ვთქვათ, თუ ბავშვები არაქართულ სკოლებში სწავლობენ... თუ ოჯახი ზნეობრივად არ არის მყარი... თუ, სამწუხაროდ, ქურდებად, კაცის მკვლელებად, მტაცებლურად იზრდებიან ისინი, მაშინ, თავისთავად ჩვენი საზოგადოება მათი შემწე და ქომაგი არ იქნება! მშობელი არც „ქართველის დედის“ წოდებას მიიღებს და არც რაიმე ეკონომიკურ დახმარებას).

მეორე: ა) უკვე მოვალწიეთ იმას, რომ ხუთი და მეტშვილიანი ოჯახები რესპუბლიკის ქალაქებში ურიგოდ დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ბინის ფართით, სოფლებში—მიწის ნაკვეთებით.

ბ). რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ 1991 წლის იანვრიდან საერთო ფონდის 10 პროცენტი მსუბუქი მანქანა გამოუყო დემოგრაფიულ საზოგადოებას მრავალშვილიან ოჯახებზე მისაყიდად.

გ). მიღებულია დადგენილება, საქართველოს ტერიტორიაზე არაქართველ მოქალაქეთა ჩაწერა, მასზე სახლის მიყიდვა ან ბინის გაცვლა მოხდეს დემოგრაფიულ საზოგადოებასთან შეთანხმებით...

არის სხვა მრავალი სიკეთეც!

მესამე: სამი და ოთხშვილიანი ოჯახების კეთილდღეობისათვის რას ვაპირებთ, რითი შეგვიძლია დავეხმაროთ?

ჩვენი წესდებიდან გამომდინარე მოგახსენებთ:

„გამოინახოს ფორმები და მეთოდები მოსახლეობაში მესამე და მომდევნო ბავშვის ყოლის მოთხოვნილების ფორმირებისათვის და იზრუნოს როგორც აღნიშნული მოთხოვნილებების, ასევე მოსახლეობაში უკვე არსებული ბავშვის ყოლის მოთხოვნილებათა რეალიზაციისათვის“...

უბრალო ენით რომ ვთქვათ, უნდა შეისწავლოს და აღმოფხვრას ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლის ხელისშემშლელი მიზეზები, ახალგაზრდა მზარდი ოჯახები ბინით, მიწის ნაკვეთით უზრუნველყოს, გაუწიოს ფულადი დახმარება, გაიცეს გრძელვადიანი და უპროცენტო სესხი, მაგრამ ეს ყველაფერი მას შემდეგ (ვფიქრობთ არაუგვიანეს 1991 წლისა!), როცა ხუთი და მეტშვილიანი ოჯახები ჩვენი წესდების მიხედვით დაკმაყოფილდებიან.

მეოთხე: განზრახული გვაქვს, „ქართველის დედის“ წოდების მქონე დედა მეექვსე შვილზე დაჯილდოვდეს „მშობელთა დიდების“ ორდენით და ამასთან ერთად მიეცეს ერთდროული დახმარება 10 ათასი მანეთის ოდენობით. ეს საკითხი ჯერჯერობით ღიაა, უზენაესი საბჭოს მიერ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ღმერთია ჩვენი მფარველი და რახან სხვა ბევრი შესაძლებელი გახდა, იმედია, არც აქ გავწბილდებით.

არადა, ახლა ერთი წუთით იმაზე დავფიქრდეთ, რა თანხაცაა საჭირო ყველაფერი ეს რომ მოგვარდეს! (თუმცა, მე ჯერ არაფერი მითქვამს გრძელვადიან სესხზე, მარტოხელა დედებზე, ობოლ ბავშვებზე, დავრდომილებზე და სხვა...)

200 მილიონ მანეთამდე წელიწადში!

ახლა ისიც ვთქვათ, რა პერსპექტივა გვაქვს, ეს კოლოსალური თანხა საზოგადოებას რომ ჰქონდეს?!

თუ მშვიდობა იქნა („მშვიდობა იქნა“ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დღევანდელ ხელისუფლებასთან საერთო ენა გამოვნახეთ, მათ იქით გზა არა გვაქვს... ჩვენი საზოგადოება მართალია, სოციალურია და არა პოლიტიკური, მაგრამ ის ერის არგადაშენების, მისი სიჯანსაღისა და მატერიალური უზრუნველყოფის, იმ მრავალათასიანი ოჯახების ნების გამომხატველია და აქედან გამომდინარე, სანამ ეს პრობლემა სამუდამოდ არ მოიხსნება, ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ წარმმართველ პოლიტიკურ ძალას იგივეს მოსთხოვს და, არ მომერიდება იმის თქმა, რომ მიიღებს კიდეც!)... ასე, რომ თუ მშვიდობა იქნა, საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ 1991 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მიიღოს არანაკლებ 100 მილიონი მანეთისა, რაც ყოველწლიურად უნდა დაკანონდეს და, ალბათ დაკანონდება.

რა თქმა უნდა, არც ჩვენი სადროშო და არც რაიონული ორგანიზაციებია უქმად. საზოგადოება რაიონის ხელმძღვანელობიდან მხარდაჭერას და საქმიან ურთიერთობებს ითხოვს, ისინი, მართალია, მინიმუმს გვაჭერებენ და ხშირად ისიც ქაღალდზე, თუმცა იმედი გვაქვს აქაც რაღაც-რაღაცეები ჩვენდა საკეთილდღეოდ მოგვარდება.

ამით იმისი თქმა მინდა, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სალარო უნდა შეივსოს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე ქალაქებისა და რაიონების პარტიული, და საბჭოთა ხელმძღვანელების დახმარებით და, რა თქმა უნდა ჩვენი წესდებითაც, კერძოდ: ა). საწევრო გადასახადებით, ბ). საზოგადოებასთან არსებული დამხმარე მეურნეობების, საწარმოებისა და კოოპერატივების შემოსავლით, გ). სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობით, დ). საქველმოქმედო ღონისძიებებით, ე). ნებაყოფლობითი შემოწირულობებით...

აი, შემოწირულობებზე კი შევჩერდები.

თუმცა, დიდი სურვილი არც მაქვს, ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობებისა და მეურნეობების ჩვენდამი ესოდენ გულგრილი დამოკიდებულება ჯერჯერობით სააშკარაოზე გამოვიტანოთ (სხვათა შორის, რამდენიმე ორგანიზაციას დიდად ვუმადლით და არც ამის დამალვას ვაპირებთ სამომავლოდ). უბრალოდ, ერთს ვურჩევთ მათ. როცა ამა თუ იმ სოფლიდან, მეურნეობებიდან თუ საწარმოდაწესებულებიდან ათობით მრავალშვილიანი, ზოგჯერ კი ორი, სამი, ოთხშვილიანი, უშვილოებიც კი გვაკითხავს დახმარებისათვის და რაც მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელი შრომით ვერ მოუპოვებია თქვენთან (ბინა, სახლი, სესხი, მანქანა...) ჩვენ გვთხოვენ ახლავე, ერთბაშად... მაშინ კეთილი ინებეთ და იმდენი თანხა მაინც გადმორიცხეთ ჩვენს საზოგადოებაში, მთლად სეზონში ვერ გადრეხთ, მაგრამ ერთ ჩავარდნილ თვეში, საკუთარ ცოლ-შვილთან რომ მიგაქვთ...

არა იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება დაიშლება ან დაიქცევა თქვენი უყურადღებობით. ნურას უკაცრავად! ისევ და ისევ თქვენივე ზნეობისა და სულის გადარჩენის გამო!

ისე ქველმოქმედება ნებაყოფლობითია და თუ ვინმეს ჩვენი თანადგომა არ უნდა, რას ვერჩით, ღმერთი იყოს ჯერ ჩვენი და მათი მფარველიც!

თუ მეტისმეტ ქრისტიანობად არ ჩამეთვლება.

ზაურ კალანდია,
მწერალი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშოს თავმჯდომარე.

# ახალს, პროგრესულს — ფართო გზა!

## (საკავშირო თათბირ-სემინარი კომპიუტერიზაციის საკითხებზე ზუგდიდში)

ჩვენი თანამოქალაქენი თუ რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო წრეები მრავალჯერ იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ქალაქ ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებულ სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო - საგამოცდო ქვეგანყოფილებაში, მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთმა პირველებმა დანერგეს პერსონალური კომპიუტერი. ამ სამუშაომ თანდათან მიიღო ჩამოყალიბებული, მეცნიერულად დამუშავებული სახე.

სამეცნიერო კვლევით სამუშაოში, რომელსაც ხელმძღვანელობს ზუგდიდის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. ქობალია, გაერთიანებულნი არიან საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდმრეწვის", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ტალღას" თანამშრომლებისაგან შემდგარი კოლექტივები.

ორი წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები დაედო საფუძვლად იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა ჩვენს ქალაქში გაემართა საკავშირო თათბირ-სემინარი თემაზე: „კომპიუტერების გამოყენება სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში, საქალაქო და სარაიონო დონეზე".

აღნიშნული თათბირ-სემინარის მიზანი იყო განესაზღვრა გზები კომპიუტერების გამოყენებისა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში, რათა შეექმნა მრავალსაფეხურიანი ავტომატიზირებული საინფორმაციო სამძებრო სისტემა, შეეფასებინა დღეისათვის შემუშავებული რამდენიმე სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები და სხვა.

თათბირ-სემინარის მუშაობა მიმდინარეობდა ოთხ დღეს. მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 13 რესპუბლიკის 78 ქვეგანაყოფის ხელმძღვანელმა მუშაკმა და გამოთვლითი ტექნიკის მრავალმა სპეციალისტმა, თათბირ-სემინარს ესწრებოდა სულ 152 კაცი.

ჩატარდა 5 სხდომა, ორი სხდომა კი მიეძღვნა დემონსტრირებას.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილემ, მილიციის პოდპოლკოვნიკმა გ. ჩოხელმა.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. გუნავა. მან შეკრებილთ უამბო ჩვენი ქალაქის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებზე, ავტომატიზაციის აუცილებლობაზე და მის პერსპექტივებზე ზუგდიდში. ამ პერსპექტივათა დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ასეთი მაღალი დონის თათბირ-სემინარი ჩატარდა ზუგდიდში.

სიტყვით გამოსულმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ნ. ჩუკლინოვმა საკავშირო სამინისტროსა და თავისი კოლეგების სახელით გულითადი მადლობა მოახსენა ზუგდიდელებს და თათბირ-სემინარის მოწყობის ორგანიზატორებს სემინარის მუშაობისათვის საქმიანი ატმოსფეროს შექმნის გამო.

თათბირ-სემინარმა დაამტკიცა მუშაობის გეგმა და რეგლამენტი.

სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრის გამგე, პროფესორი გ. გოგიჩაიშვილი, სპეციალური ტექნიკის საკავშირო სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მარტინოვი, შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილებასთან არსებული სარაიონთაშორისო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. ქობალია. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საინფორმაციო ცენტრის სამეცნიერო-საკვლევი განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. რეზნიკოვი, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ტალღას" სექტორის გამგე, ტექნიკურ-მეცნიერებათა კანდიდატი თ. დარასელია, უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის ლაბორატორიის უფროსის მოადგილე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. რაციბორინსკი.

მომხსენებლები დაწვრილებით შეჩერდნენ ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემების აგების საერთო პრინციპების, საინფორმაციო სამძებრო სისტემების შემუშავებისა და შექმნის საკითხებზე, კომპიუტერებზე, საარიცხვო სარეგისტრაციო დოკუმენტების ავტომატიზირებული სისტემების, კომპიუტერებისა და დიდი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების კავშირის შესახებ, სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებისათვის კომპიუტერულ ტექნიკაზე და ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილებზე ქალაქ ზუგდიდის სარეგისტრაციო საგამოცდო განყოფილების ბაზაზე მუშაობის სწავლების შესახებ.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი, გამოითქვა ბევრი საქმიანი შენიშვნა და წინადადება. მოსმენილ იქნა საინტერესო ინფორმაციები.

კომპიუტერული სისტემების დემონსტრირებისას სხდომებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ზუგდიდში შემუშავებულმა სისტემამ, რომელსაც ეწოდება „ეგრისი". იგი შექმნილია ინტერაქტიური ინტერფეისის გამოყენებით. მას კერძო ამოცანის გადაწყვეტისას გააჩნია მრავალი უპირატესობა, რომელთაც კონკრეტულ შემთხვევებში აქვთ ადგილი. მისმა ეფექტურობამ სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც სხდომების დროსაც იქნა აღნიშნული. აღნიშნული სისტემის გარდა წარმოდგენილ იქნა გორკის, მურმანსკის, ლენინგრადის, კიევის სპეციალისტების მიერ შექმნილი სისტემები. ამ მხრივაც იყო შესაძლებლობა, რომ ჩატარებულ იყო შედარება-ანალიზი.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, სემინარის თავმჯდომარემ ნ. ჩუკლინოვმა. მან ვრცლად ილაპარაკა ქვეყნის მასშტაბით კომპიუტერიზაციის დანერგვის მნიშვნელობაზე და მის სირთულეებზე, ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე თუ რის გადაწყვეტა მოუწევთ სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებს ახლო მომავალში სრული დაფინანსებასა და ავტომატიზაციასთან დაკავშირებით. მაღალი შეფასება მისცა ზუგდიდელთა მიერ შემუშავებულ სისტემა „ეგრისს" და სცნო იგი სრულიად გამოსადეგად და მთელი ქვეყნის მასშტაბით დასანერგად.

თათბირ-სემინარმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქალაქ ზუგდიდში ხსენებული ქვეგანყოფილების ბაზაზე შეიქმნას სამეცნიერო მეთოდური ცენტრი, მოქმედი სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დამკვიდრდეს შინაგან საქმეთა სამსახურებში მათი მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

თათბირ-სემინარმა წარმოდგენილი სისტემა „ეგრისი" სცნო საუკეთესოდ, რომელიც უნდა დაინერგოს ქვეყნის მასშტაბით. სემინარის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

სამეცნიერო საკვლევი ცენტრის შექმნა ჩვენს ქალაქში, რომელსაც უფლება ექნება თვითონვე გაუკეთოს რეალიზაცია შემუშავებულ სამეცნიერო-კვლევით პროდუქტს, გარდა დიდი პრესტიჟული საქმისა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის საწინდარიცაა.

ამგვარი მასშტაბის სამეცნიერო მიმართების ღონისძიება ჩვენს ქალაქში ჩატარდა პირველად, ამიტომ ცხადია, გამოცდილებაზე, ან ტრადიციაზე ლაპარაკი ზედმეტია. დიდი შრომის გაწევა იქნა საჭირო შესაბამისი შენობისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოსაწყობად, ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით მის აღსაჭურვავად.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვეს „საქქალაქდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების დირექციის მისამართით იმ დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის, რაც ენგურელმა მექალაქეებმა გამოიჩინეს მათ მიმართ. „საქქალაქდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების დირექციამ სემინარის მონაწილეებს რამდენიმე დღით დაუთმო კულტურის სასახლე, სასტუმრო და კურორტ ანაკლიის ზღვისპირას აშენებული კოტეჯები.

თათბირ-სემინარმა ცხადყო, რომ კომპიუტერიზაციის დანერგვა შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც გზას იკაფავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

## ექსპერიმენტულ საამქროში



ფაიფურის ქარხნის ექსპერიმენტულ საამქრო „კოლხეთში" ეყრება საფუძველი ახალ პროდუქციას, აქ ხდება მისი გამოცდა. საამქროს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა სპეციალისტი ავთანდილ ბოლქვაძე. ავთანდილმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და უკვე რამდენიმე წელია ქართული ფაიფურის წარმოებას ემსახურება. მის მიერ დამუშავებული პროდუქცია მომხმარებელთა მოწონებით სარგებლობს.

სურათზე: ავთანდილ ბოლქვაძე ახალ მოდელზე მუშაობისას.

ფოტო ა. თორდიასი.

## მაღალხარისხოვნად სრულდება

მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდი სამარცვლედ დაითესა 2800 ჰექტარზე. პირველი გათონხნა-გაფ[illegible] ლია 2000 ჰექტარზე.

აღნიშნული სამუშაო პირველებმა მაღალხარისხოვნად შეასრულეს ახალაბასთუმნის, ნარაზენის, ახალკახათის, „კოლხიდის" კოლმეურნეობებმა, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობამ.

ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში დაიწყეს სამარცვლე სიმინდის მეორედ გათოხნა.

## ამაგდარი მკურნალი 70 წლისაა

როცა ერთხელ ექიმ შოთა ფარცვანიას ჰკითხეს, რას აფასებ ადამიანში ყველაზე მეტად, სიკეთეს — უპასუხა.

# ჯანმრთელობის სადარაჯოზე

დიახ, სიკეთისა და ჰუმანიზმის გარეშე შეუძლებელია კარგი მკურნალი გახდე.

შოთა ექიმი იოლად პოულობს ნებისმიერ ადამიანთან საერთო ენას, იგი ერთნაირად საინტერესოა როგორც მუშაობის პროცესში, ასევე მეგობრებთან საუბრისას. ენდობიან, რჩევას ეკითხებიან, თვითონ კი მუდამ მზად არის ხელი გაუწოდოს გასაჭირში ჩავარდნილს, გაამხნევოს კეთილი სიტყვის მომლოდინე.

70 წელი შესრულდება ამაგდარ მკურნალს. თავისი სიცოცხლის ერთი მესამედი მან მშობლიურ სოფელ აბასთუმნის მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურს შეალია. მუშაობდა ასევე ონარიის საექიმო ამბულატორიის გამგედ.

იბრძოდა დიდ სამამულო ომში. გაიარა ბრძოლით ქერჩი, სხვა ადგილები, ჰქონდა მძიმე ჭრილობაც. საბრძოლო დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენითა და მედლებით.

შოთა ფარცვანიას საექიმო და საზოგადოებრივი შრომა ღირსეულად დაფასდა. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება, და დღესაც ენერგიულად და თავდადებით, ჩვეული ენთუზიაზმით ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

კვლავაც სიკეთის გზით ევლოს ამაგდარ მკურნალს!

ვ. კოდუა,

აბასთუმნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ომისა და შრომის ვეტერანი.

## მიმდინარეობს სენაჟის დამზადება

რაიონის საკვებმომპოვებლები პირნათლად ანიდებენ სიტყვას. წელს ისინი 800 ჰექტარზე იღებენ მრავალწლიან კულტურებს. უნდა დამზადდეს 5500 ტონა სენაჟი. დღემდე შვრია აღებულია 520 ჰექტარზე. დამზადდა 4500 ტონა სენაჟი.

დანერგეს რა შრომის პროგრესული მეთოდები, ნაყოფიერად შრომობენ ახალაბასთუმნის, გრიგოლიშის, ნარაზენის, ჭითაწყარის კოლმეურნეობების, ანაკლიის, დარჩელის საბჭოთა მეურნეობებისა და ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის საკვებმომპოვებელთა ბრიგადები; რომლებმაც ვადამდე გადამეტებით შეასრულეს სენაჟის დამზადების გეგმები.

საკვების დამზადება გრძელდება.

## სპორტი

დამთავრდა ზუგდიდის რაიონის მოსწავლეთა 1989-90 სასწავლო წლის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 11 სახეობა. შეჯიბრებებში მონაწილეობდა 43 საშუალო და 20 არასრული სკოლა.

გუნდური პირველი ადგილი 222 ქულით დაიკავა დარჩელის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ჩანგელია, ფიზკულტურის მასწავლებელი პ. სვანიძე) კოლექტივმა. მეორე ადგილზე გავიდა ახალაბასთუმნის საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. ქადარია, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ქადარია), ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ნარაზენის მეორე საშუალო სკოლას (დირექტორი მ. თოდუა, ფიზკულტურის მასწავლებელი ე. ლომაია).

### სპარტაკიადის პროგრამით

არასრულ საშუალო სკოლებს შორის პირველობა არავის დაუთმეს ანაკლია-ჭითაწყარის სკოლის (დირექტორი მ. მალანია, მასწავლებელი ქ. სვანიძე) ფიზკულტურელებმა. მეორე-მესამე ადგილი შესაბამისად დაიკავეს დარჩელისა და ცაიშ-ეწერის არასრულმა სკოლებმა (დირექტორები ბ. ანდრიაძე, გ. ბუკია, ფიზკულტურის მასწავლებლები ბ. ახალაია, ლ. ქირია).

გამარჯვებულ სკოლებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის თასები და დიპლომები.

## ტურისტული ბილიკებით

მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა რაიონის ზოგად საგანმანათლებლო სკოლების შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში მარშრუტით — ზუგდიდი-სათანჯო-ზუგდიდი. აღნიშნული შეჯიბრება მიზნად ისახავდა მოსწავლეების ფიზიკური გაჯანსაღებას და მხარეთმცოდნეობის შესწავლას, მშობლიური მხარის ისტორიის, ბუნების და ეკოლოგიური მდგომარეობის გაცნობას, სასკოლო ტურიზმის შემდგომ განვითარებას.

ტურისტულ მრავალჭიდში მონაწილეობა მიიღო რაიონის 12 სკოლის 150-მა მოსწავლემ. შეჯიბრების პროგრამაში იყო: ქვეითად სვლა 10 კილომეტრზე, ტურიზმის ტექნიკა, ტოპოგრაფიული აგეგმვა, საკონტროლო ტურისტული მარშრუტი, ტურისტული ჩვევები. გაიმართა შეჯიბრი არაჩვეულებრივ სახეებში — მხატვრულ თვითმოქმედებასა და სპორტულ ვიქტორინაში.

ტურისტულ მრავალჭიდში დამსახურებულად გაიმარჯვა ოდიშის პირველმა საშუალო სკოლამ (დირექტორი თ. ქობალია, მასწავლებელი ქ. ბაკურაძე), მეორე ადგილზე გავიდა ორულუს საშუალო სკოლა (დირექტორი კ. ლაგვილავა, მასწავლებელი დ. იზორია), მესამე ადგილი დაიკავა ჯახაშკარის საშუალო სკოლამ.

სპორტულ ვიქტორინაში გაიმარჯვა ინგირის პირველმა საშუალო სკოლამ (დირექტორი ა. გვაჯაია, მასწავლებელი თ. კაკულია).

**გ. ახალაია,**

სახალხო განათლების წარჩინებული.

## განცხადება, რეკლამა...

30 ივნისს სამთავრო სახახლის ბაღის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ექიმთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

დასაწყისი 11 საათზე.

რეგისტრაცია იწარმოებს დილის 10 საათიდან.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

---

**კოოპერატორთა საყურადღებოდ!**

ზუგდიდის კოოპერატივების მუშაკთა პროფკომიტეტი გაცნობებთ, რომ მიღებულია საგზურები შემდეგ კურორტებზე: „ახტალა" და „მენჯი".

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ლენინის 9. ზუგდიდის კოოპერატივების პროფკომიტეტი.

**ზუგდიდის კოოპერატივების პროფკომიტეტი.**

---

**ისწავლეთ დოსააფის სკოლაში**

დოსააფის ზუგდიდის საავტომობილო სკოლაში, რომელიც ამზადებს ჭაბუკებს მესამე კლასის მძღოლის სპეციალობით, მიიღებიან 1972 წლის ივნისის თვის შემდეგ დაბადებული წვევამდელი ასაკის ახალგაზრდები.

სწავლის ხანგრძლივობაა სამი თვე წარმოებისაგან მოწყვეტით. ავტოსკოლაში ჩარიცხულ კურსანტებს ენახებათ სამუშაო ადგილი, თანამდებობა და ეძლევათ ხელფასის 50 პროცენტი.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება კომისრის სახელზე, დაბადებისა და მიწერის მოწმობები, საბუთები მიიღება 5 ივლისამდე. სწავლა დაიწყება 10 ივლისს.

**სამხედრო კომისარიატი.**

---

## „ზუგდიდგაზის" დირექციის მიმართვა

შეგახსენებთ, რომ ტრესტი „ზუგდიდგაზი" დაარსდა 1960 წელს და თხევადი გაზით ემსახურება ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებს და დაბა ჯვარის მოსახლეობას. მთლიანი გაზიფიკაცია დამთავრდა 1970 წელს. მოსახლეობამ ამ შუალედში შეიძინა თხევადი გაზის ბალონები, რომელიც გათვალისწინებულია ერთ დანადგარზე ორი ცალი. თხევადი გაზის ბალონი სათანადო ექსპლოატაციის შედეგად გამოდის მწყობრიდან. 1. სარქველის გაფუჭებით, 2. მექანიკური დაზიანებით, 3. კოროზიით.

„ზუგდიდგაზის" მექანიკური საამქრო ყოველწლიურად დაახლოებით 20-22 ათასი ცალი ბალონის რემონტს აწარმოებს, აგრეთვე სახელმწიფოსაგან მწყობრიდან გამოსული ბალონის შესავსებად ვღებულობთ 7-8 ათას ცალს, ნაცვლად 12-15 ათასისა. შევსების ნორმატივის შემცირებას გვისაბუთებენ მოტივით: მოსახლე ვალდებულია გაზის ბალონი შეინახოს დახურულ სათავსოში ატმოსფერული ზემოქმედების გავლენისაგან დაცვით, რაც ახანგრძლივებს ბალონის ექსპლოატაციის ვადას.

მიუხედავად ჩვენი განმარტებისა, არაერთი მიმართვისა პრესის მეშვეობით, მოსახლეობა არ იცავს გაზის ბალონის შენახვის წესებს, რამაც განაპირობა მათი დიდი რაოდენობით მწყობრიდან გამოსვლა.

ტრესტ „ზუგდიდგაზს" შეექმნა უკიდურესად გამოუვალი მდგომარეობა, არ გაგვაჩნია საბრუნავი ბალონები.

არსებული წესის თანახმად აბონენტი ვალდებულია განაახლოს თავისი ბალონები, აღნიშნული განახლება უნდა მომხდარიყო აბონენტების მეშვეობით 1990-91 წლებში.

ვინაიდან გაზის ბალონების მიმწოდებელი ორგანიზაციები ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს მუშაობენ 50-60 პროცენტის დატვირთვით და ვერ უზრუნველყოფენ მოწოდებას, რომ აბონენტმა ბალონები შეიძინოს, „ზუგდიდგაზის" მეშვეობით, **ვთხოვთ:** სადაბო, სასოფლო საბჭოებს, ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეებს, მათ აქტივს, სხვადასხვა ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებს დაგვეხმარონ ყოველი მოსახლიდან ერთი საბრუნავი ბალონის ამოღებაში.

**ტრესტ „ზუგდიდგაზის" ადმინისტრაცია.**

---

## პ. ა. დიხამინჯია

გარდაიცვალა საალრიცხვო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, სკკპ წევრი 1941 წლიდან **პარმენ ალექსანდრეს ძე დიხამინჯია.**

იგი დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ბოდაში. ქ. სენაკის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა აფხაზეთში კოდორის სახერხ ქარხანაში, შემდგომ სწავლას განაგრძობს თბილისის ეკონომიკურ ტექნიკუმში და ეკონომისტის დიპლომით კვლავ თავის წარმოებას უბრუნდება. სხვადასხვა დროს პ. დიხამინჯია მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის ჩხალთის საექსპლოატაციო ხე-ტყის მასალის დაცურების გამგედ, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის სტატისტ-ეკონომისტად, შრომის ეკონომისტად, საგეგმო განყოფილების გამგედ, ქ. ზუგდიდის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მგეგმავ-ეკონომისტად.

აქტიურად მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, სადაც ორჯერ მიიღო მძიმე ჭრილობა. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო პირველი ხარისხის ორდენითა და მრავალი მედლით.

აღარ არის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ამაგდარი ადამიანი და კეთილშობილი პიროვნება, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

---

რედაქტორი
**ა. ჭანტურია.**

---

შვილები: ანიკო. ელეონორა, ადა. რძალი ნადია, სიძეები გავი ჭანტურია, გიგლა ჭიჭინაძე, შვილიშვილები: ციალა, ნატო, ხვიჩა, მერაბი, კახა. თენგიზი, ნუგზარი. შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **შურა (ფაშურა) ალექსანდრეს ასული სიჭინავა-გვასალია.** პანაშვიდი 26, 27 ივნისს. დაკრძალვა 28 ივნისს. გამოსვენება ზუგდიდი, გრიბოედოვის ქ. 55-დან 18 საათზე.

---

გაზეთ „ოდიშის" რედაქციისა და პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის სტამბის თანამშრომლები იუწყებიან **ნინო ვლადიმერის ასულ კორინთელი-ზაქარაიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ციალა, პალიკო და ლიზა, რძალი ლუიზა გვასალია, სიძე რობერტი ტურავა, შვილიშვილები: ვერიკო, რომანი, ლევანი ხუფენიები, კოკა ტურავა, ძმისშვილები: მერი, გურიელი, ნოდარი გუგუჩიები, დისშვილები ნათელა, ვაჟა, ვალა ჩახაიები, ტატიანა შენგელია, ჯული, ია, ციური, ოთარი სიჭინავები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან **ვენერა (ლუშა) ათანასას ასულ გუგუჩია-ხუფენიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29, 30 ივნისს. გამოსვენება 1 ივლისს, ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 198.

---

შვილები: ზაირა, როზა. აზა, რეზო, ჯონი. რძლები: დარეჯანი ნაკალათია, ნონა ქარდავა, სიძეები: კარლო ვეკუა, ჯაყო ქვანია, შვილიშვილები: ნინო. ნანა, თამარი. ელგა, ხათუნა, მანანა, მაია, ეკა, კოტე. დათო, მანუჩარი, გაა, შვილთაშვილები ნინო, თამარი, ანა, ქეთევანი. სოფიკო. ძმისშვილები: ლუდა, ლარისა. კუკური ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **თამარა (ხუნა) პახვალას ასული გულორდავა-არახამია.** პანაშვიდი 28, 29 ივნისს. გამოსვენება 30 ივნისს 6 საათზე, ქ. ზუგდიდი, კუიბიშევის ქ. 45.

---

დედა ციალა. მეუღლე ლეილა, შვილები: ლევანი, ლაშა, და ნაზი. ძმა დემური. მამიდა ნელი, ბიძები ყორა ცირდავა, ბიჭიკო გარდავა, დისშვილები მაია. ლილი. ძმისშვილები: თემური. არტური, ბიძაშვილები: ვეფხია, გია, მედიკო, ლია. ზაზა, კობა, მამიდაშვილები: ლარისა, ლამზირა გარდავები, დეიდაშვილი სვეტა. რძლები: ლუბა. ლილი. ნანა, ნინო. სიძეები: პეტრე ლიაშჩენკო, ბორის წურწუმია. ნუგზარ მიქავა, გია ჭითანავა, სიდედრი ანა, სიმამრი ზიბა ტანია, ცოლისდები: აზა, თინა. კლარა, ცოლისძმები: მუშნი, სიომა, ზაური ოჯახებით იუწყებიან **თორნიკე (ცუქურია) საშას ძე ცირდავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 ივნისს. დაკრძალვა 30 ივნისს. გამოსვენება კალინინის ქ. 27.

---

მეუღლე ტატი, შვილები: გული, ლამარა, ცინარა, რევო, გიგლა, ძმა შოთა, რძლები: ეთერი. ნაზო, ფარიზა. მზევი, სიძეები: სერიოჟა ჩანგელია, ლუდა ლემონჯარია, ომიკო ჯიქია, სოსო ბერაძე, როლიკო მურღულია, გია სიჭინავა, ცოლისდა ვალენტინა. ცოლისძმები: ვანია. ყორა. შვილიშვილები: რუსიკო. რიმა, როზა, ლალი. მზიური, ნინო, ნაირი, მარინა, ინდირა. შორენა, დათო, ზაქრო, რუზგენი. ბორისი. რამაზი, სერგო. გიმზერი, ძმისშვილები სოსო, კობა. დოდო, აზა, ცოლისძმისშვილები: მაგული, ქეთინო, ნინო, ზურაბი, კარლო, ტარიელი, ხუტა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან **დურუ (ლავრენტი) ერმინეს ძე ჩუხუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ივნისს. გამოსვენება 30 ივნისს, ზუგდიდი, ცხაკაიას ქუჩა. დაკრძალვა ჭაქვინჯში (ბაღმარანი).

---

მეუღლე ნათელა. შვილები კახა. პაატა. ეკა, დები ვალია, დოდო, ლამარა. ძმა ბოჩო, მამიდები: ვენერა. თათუშა. დეიდა მანუჟა, ბიძები: დურუ ბაჩილავა ბუხუტი ჩოკორაია, სიდედრი ჟენია. ცოლისდები: ჟუნა, პარაშა. ზინა. ცოლისძმები: ვარადი. ტრიფონ, სერიოჟა. კოტე. რემიკო, ივერიკო გელენავები. რძლები: ნარგიზა, გულნარა, ლელა, ბაცოლა ჟუნა, სიძეები მევონა ქუთელია, არჩილ ქირია, ქვისლი პოლშა ზარამია, დისშვილები: დალი, მარინა, ნატო, როზა. ჯონი ლატარიები, ლუარა, ნონა, ემა, მერაბი ქუთელიები. რამაზი, ნანა ქირიები, ძმისშვილები: თენგიზი, თემური, სოსო, გოჩა. მანანა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან **ჯანიკო ისიდორეს ძე ბაჩილავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 ივნისს. დაკრძალვა 1 ივლისს განმუხურში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—4-34-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-09

საქ. სსრ გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3189